საჯარო ლექცია „სამედიცინო ბაზარი: ინფორმაცია და სტიმულები"

ჯანდაცვის სექტორი, როგორც ეკონომიკის დარგი, თავისი სპეციფიკურობით ხასიათდება. ეს სპეციფიკა ეკონომიკური ურთიერთობების განსაკუთრებულ ფორმებს განაპირობებს. თუმცა საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ ჯანდაცვის ეკონომიკა არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ბაზრისაგან.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, უილიამ ჰსიაოს მიხედვით, ჯანდაცვა წარმოადგენს „ანორმალურ, პათოლოგიურ ეკონომიკას“ (Abnormal economics), ანუ „ეკონომიკას, რომლის საბაზრო ძალების გავლენა სერვისების მოცულობაზე, მათ ფასსა და ხარისხზე არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი ბაზრებისგან“ (Hsiao, 1995). სამედიცინო ბაზრის ასეთი განსხვავება ჩვეულებრივ ბაზარზე მოქმედი ანალოგიური ურთიერთობებისაგან განპირობებულია სამედიცინო მომსახურების სოციალურ-ეკონომიკური ბუნებით და სამედიცინო მომსახურების მიწოდების სპეციფიკურობით.

საჯარო ლექციაზე განხილულ იქნა განსხვავება სამედიცინო ბაზარსა და ჩვეულებრივ ბაზარს შორის და რით არის განპირობებული ეს განსხვავება.

თენგიზ ვერულავა

მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ჯანდაცვისა და დაზღვევის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი